სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080131748599016

 # 3361 **05 / დეკემბერი / 2016 წ.**

სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 29 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ SMP160003076 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვას (CPV- 30100000 - საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა).

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესასყიდად გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერი CON160000049 არ შედგა, ხოლო CON160000051 კონსოლიდირებული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. ამასთან, განმეორებით გამოცხადებული CON160000053 კონსოლიდირებული ტენდერი მოცემულ ეტაპზე დასრულებული არ არის. შესაბამისად, იმისათვის, რომ არ შეფერხდეს შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირება, აუცილებელია, შესყიდვა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესასყიდად გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები CON160000049 და CON160000051 უშედეგოდ და უარყოფითი შედეგით დასრულდა. ამასთან, ქაღალდის რაოდენობა თითქმის ამოწურულია. შესაბამისად, იმისათვის, რომ არ შეფერხდეს შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირება, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, მიმდინარე CON160000053 კონსოლიდირებული ტენდერის დასრულებამდე საჭირო მოცულობის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს" SMP160003076 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე